იარეთ თეატრში! ილიაუნის თეატრის პოპულარიზაციის სტრატეგია სტუდენტებში

ხატია ცერცვაძე
ნანა ფერაძე
გვანცა მეშველიანი
ნათია თევდორაშვილი
ეკატერინე ათოშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მედია, კომუნიკაცია და ჟურნალისტიკა:პრაქტიკა, კვლევა, მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატალია თვალჭრელიძე, ილიაუნის თეატრის დირექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

ს ა რ ჩ ე ვ ი:

აბსტრაქტი 3

შესავალი 4

1. კვლევის მეთოდები.. 10

1.1თვისებრივი კვლევის მეთოდები(სიღრმისეული ინტერვიუ
თეატრების PR ხელმძღვანელებთან) 10

1.2 რაოდენობრივი კვლევის მეთოდები (ანკეტირება სტუდენტებთან). 11

2. შედეგები. 13

2.1 თვისებრივი კვლევის ანალიზი (სიღრმისეული ინტერვიუ
თეატრების PR ხელმძღვანელებთან) 13

2.2 რაოდენობრივი კვლევის ანალიზი (ანკეტირება სტუდენტებთან). 17

3.რეკომენდაციები 21

ილიაუნის თეატრის აქტივობის მიმოხილვა 21

შეხვედრები უნივერსიტეტების სტუდენტებთან 23

სტუდენტებს შორის შეჯიბრება 25

სლოგანი „იარეთ თეატრში!“ 25

Facebook აქტივობა 26

კონკურსი #1 27

კონკურსი #2 29

კონკურსი #3 29
დასკვნითი კონცერტი 30

4. დასკვნა 32

5. ბიუჯეტი. 33

6. დანართები 34

7. ბიბლიოგრაფია 43

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომი “იარეთ თეატრში! ილიაუნის თეატრის პოპულარიზაციის სტრატეგია სტუდენტებში” ილიაუნის თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის სამთვიან გეგმას ასახავს. წინამდებარე ნაშრომისმიზანია,გამოვარკვიოთ, თუ როგორი ვითარებაა თბილისის თეატრებში საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის მიმართულებით, ასევე არის თუ არა თანხვედრა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომლების ხედვასა და სტუდენტების ხედვას შორის. რა პრობლემები და სირთულეები არსებობს აღნიშნული სამსახურის მუშაობის პროცესში და როგორ ხედავენ თეატრის წარმომადგენლები პრობლემების გადაჭრის გზებს.

ნაშრომისთვის საჭირო კვლევის მეთოდებად შეირჩა, როგორც თვისებრივი (სიღრმისეული ინტერვიუ),ისე რაოდენობრივი მეთოდები(კითხვარი/საფოსტო გამოკითხვა). ნაშრომზე მუშაობისას ისძირითადი პრობლემები და თემები გამოიკვეთა, რომლებიც გააჩნიათ თბილისის თეატრებს სტუდენტების ინფორმირებულობის მხრივ. კონკრეტულად ილიაუნის თეატრისათვის სპეციალური რეკომენდაციები შემუშავდა.

რაც შეეხება ნაშრომის სტრუქტურას, იგი შესავლის, ძირითადი ნაწილისა და რეკომენდაციებისაგან შედგება. შესავალი წარმოაჩენს თემის აქტუალობასა და მის მნიშვნელობას. ძირითადი ნაწილი ორ ქვეთავად იყოფა: პირველ თავში საუბარია საკითხის კვლევის მეთოდოლოგიაზე, მეორე თავი ნაშრომის შედგენის დროს ჩატარებული კვლევის შედეგების ანალიზს ეთმობა, ხოლო ნაშრომის დასასრულსის რეკომენდაციებია თავმოყრილია, რომელიც მკვლევართა ჯგუფმა სპეციალურად ილიაუნის თეატრისათვის შეიმუშავა.

ძირითადი თემატური საძიებო სიტყვები:თეატრი, საზოგადოებასთან ურთიერთობა, სტრატეგია, სიღრმისეული ინტერვიუ, კამპანია, სტუდენტები.